4372-კ-3-202306161431

Municipal Development Fund of Georgia
Digitally signed by Municipal Development Fund of Georgia
Date: 2023.06.19 12:46:37 +04'00'

N 4372-კ 16.06.2023

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №GOG/D/G/767

ერთი მხრივ, **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი** (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის დავით ტაბიძის სახით და მეორე მხრივ, **შპს „ნათება“** (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის თამაზ მესხიშვილის სახით („შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ შემდგომში - „მხარეები“), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის (გადაუდებელი აუცილებლობა) საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელზედაც მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელთანაც შემსყიდველმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. „დღე“, კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.6. „დეფექტი“ („ნაკლი“, „წუნი“, „ხარვეზი“) არის ნივთობრივად და უფლებრივად ნაკლოვანი ნივთი/ შესრულება/მომსახურება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი:

2.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისში რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონისთვის ახალი ტრანსფორმატორის (CPV 31170000 - ტრანსფორმატორები) შესყიდვა და არსებული ტრანსფორმატორის შეკეთება (CPV 50532200 - ტრანსფორმატორების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება) და დენის ძაბვის სიმძლავრის გაზრდის მომსახურების შესყიდვა.

2.2. შესყიდვის ობიექტის დასახელება, მახასიათებლები, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და რომელიც შემდგომში განისაზღვრება როგორც დანართი №1.

3. ხელშეკრულების ღირებულება:
მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს **31,420.00** (ოცდათერთმეტი ათას ოთხას ოცი) ლარს, რაც მოიცავს მიმწოდებლისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახადს და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს (ტრანსპორტირების ჩათვლით).

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა:
4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი, ქ. ქუთაისი, აკაკი ხორავას ქ. №1.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 21 ივნისის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა და პირობები:
5.1. შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება გარანტია შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში.
5.2. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია, გამოვლენილი ნებისმიერი საწარმოო დეფექტის აღმოფხვრა, შეკეთება ან საქონლის ახლით შეცვლა განახორციელოს საკუთარი სახსრებით, შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადა, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია განისაზღვროს არაუმეტეს 30 კალენდარული დღით, თუ საჭირო გახდა დეფიციტური ნაწილ(ებ)ის (რომელიც მოცემული მომენტისთვის შეუძლებელია მოძიებულ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე) შეცვლა ახლით.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი:
6.1. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს საქონელი გადასცეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოწერილი სასაქონლო ზედნადებით.
6.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის გადაცემის დადასტურების მიზნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შესაძლებელია გაფორმდეს შუალედური ან/და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება, ორმხრივად ხელმოწერილი, მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების, ან მათი წარმომადგენლების ხელმოწერით.
6.3. მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოწერილ საგადასახადო ანგარიშფაქტურას (თუ მიმწოდებელი არის დღგ-ს გადამხდელი).
6.4. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტის მენეჯერი (GOG1) **გურამ მგელაძე** და შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“-ს დირექტორი **თეიმურაზ კიკვაძე.**

7. ანგარიშსწორება:
7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება, მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
7.3. საავანსო ანგარიშსოწრების მექანიზმი არ გამოიყენება.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები:
8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების შესაბამისობა დანართი №1-ით განსაზღვრულ სავალდებულო მახასიათებლებთან და აუცილებელ პარამეტრებთან;
ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება;
ბ) გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი; შემოთავაზებული საქონელი უნდა იყოს ახალი, არ უნდა იყოს ნამყოფი ექსპლუატაციაში და უნდა იყოს ქარხნული შეფუთვით.
გ) გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.
დ) სტადიონის სატრანსფორმატორო პუნქტებზე სამუშაოები განხორციელდება უწყვეტ რჟიმში პარალელურად.
ე) ტრანსფორმატორების სარემონტოდ დემონტაჟის შემთხვევაში სტადიონების სარემონტო სამუშაოების ელ. ენერგიის უწყვეტობის მიზნით ჩაანაცვლოს დროებითი სათადარიგო ტრანსფორმატორებით.
ვ) ყველა დამხმარე მოწყობილობა მაღალი (6 კვ) და დაბალი (04 კვ) უჯრედების, ასევე სასექციო უჯრედების შემადგენელი ავტომატიკა და აქსესუარები შეარჩიოს შესაბამისი ტრანსფორმატორისათვის სტანდარტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა:
9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ორმხრივად ხელმოწერილი, წერილობითი ფორმით.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან შემსყიდველისთვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5. ერთი მხარე ვალდებულია, 9.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ შეატყობინოს მეორე მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე, წერილობით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით.
9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა:
10.1. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
10.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლო, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
10.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო შეადგენს საერთო სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.5. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 10.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობა დადგა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების, ან შეუსრულებლობის გამო, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე შესაბამისი შეტყობინების წარდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში უზრუნველყოს დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა შემსყიდველის მიერ მითითებულ რეკვიზიტებზე.
10.6. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანხმაა დაკისრებული პირგასამტეხლოს გამოქვითვა განხორციელდეს საანგარიშსწორებო თანხიდან. ასეთ შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით დაკავებული თანხის შესაბამის რეკვიზიტებზე გადარიცხვას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება:
თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რომლის/რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებასთან/გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ფორს-მაჟორი:

12.1. ხელშეკრულების პირობების, ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნება ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებისთანავე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა:

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. თუ მხარეები მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. განსაკუთრებული პირობა:

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, მხარეების მიერ ხელმოწერილია უფლებამოსილი წარმომადგენლების კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, ან/და დამოწმებულია ორგანიზაციის კვალიფიციური ელექტრონული შტამპით და ძალაში შედის ხელშეკრულების ორმხრივად კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმებისთანავე.

15.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

15.3. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

15.3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.3.2. მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.3.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	შპს „ნათება“
ს/კ: 206074193	ს/კ: 406043008
მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150	მის: ქ. თბილისი, იუმაშევის ქ. №5
ტელ. №: +995 32 2437001/02/03/04	ტელ. №: 577 30 60 88
ელ. ფოსტა: office@mdf.org.ge	ელ. ფოსტა: mesxishvilit@gmail.com
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ბანკის კოდი: BAGAGE22
ბანკის კოდი: TRESGE22	ა/ა: GE61BG 0000 0008 9053 7700
აღმასრულებელი დირექტორი დავით ტაბიძე	დირექტორი თამაზ მესხიშვილი

დავით ტაბიძე

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია

Tamaz Meskhishvili 01005028597

Digitally signed by Tamaz Meskhishvili
Date: 2023.06.17 14:54:29

ხელშეკრულება №GOG/D/G/767-ის

დანართი №1

№	დასახელება	საქონელი/მომსახურების დეტალური ინფორმაცია	რაოდ. (ცალი)	ერთ. ფასი (ლარი)	ღირებულება (ლარი)
1	ტრანსფორმატორი	630 კვა სიმძლავრე	1	26,800.00	26,800.00
2	ტრანსფორმატორის (630კვა) შეკეთება	ტრანსფორმატორის დემონტაჟი, ტრანსფორმატორის დაშლა-აწყობა, ტრანსფორმატორის გამოშრობა, ზეთის რეგენერაცია, ზეთის დამატება, რეზინის საფენების შეცვლა, ტრანსფორმატორის რევიზია, ტრანსფორმატორის ავზის შეღებვა	1	4,620.00	4,620.00
				მთლიანი ღირებულება დღგ-ს გათვალისწინებით:	31,420.00

დავით ტაბიძე

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია